# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 178

“26” აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ. 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ. 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.634.741 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე